

რედაქცია

Հիշենք Ժողովանքի, Եղեմեանի տաշի մարզերից Կ. Պոլսի մէջ
Եղեմեանի եկեղեցւոյ, № 2.

ხელის-გულწება

[illegible]

„ღრმუბა“-„ცეცხრის“- ჟანრი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

| | | | | | |
|----------|-----------|------------|------------|-----------|-------|
| დროებისა | „ივერისა“ | ერთად | 13 მს. | 7 მს. | 4 მ. |
| ცხელი | { | „დროებისა“ | 9 მს. | 5 მს. | 3 მ. |
| | | „ივერისა“ | 6 მს. | 4 მს. | 2 მ. |
| მთლიან | ნაშვარი | დროებისა | დღის 5 სთ. | „ივერისა“ | 2 მს. |

ტელეგრაფები

(Եւրոպական Գործակալներու Եւրոպական)

ბათუმი 16 აგვისტოს. ზუთი
დღეს რაც აქ მოვიდა ამხელეთიდან
გემა, რომელმაც მოიყვანა ათასი სუ-
ლი ქრისტიანი აზნაურები. ესენი თხე-
ლდებიან თავიანთი მამულები დასახლე-
ბას ნებას; მათს თხოვნას არ იწყნა-
რებენ. საბრძოლნი სადრტვინველ
მდგომარეობაში იმყოფებიან: თერამე-
მეტი დღეს მას აქეთ რაც გემაში ისე
ფრთხილნიან, როგორც თევზები გას-
რამა, ხან აწვიმით ხან მზე სწვავსთ,
საჭმელი ზუთი არა აქვსთ. ამბობენ
შემშლელისგან უკვე ათი გზით მოკვ-
და. კერძო ქველ-მოქმედებს არ ყოფ-
ნისთ.

(საქლსთა შობის საბგენტოსი)

პეტერბურლი, 14 აგვისტოს. ნა-
ბმანება, რომ მეოთხე განუყოფლ-
ბას დაერქვას ხელწიფის საკუთარი
განცხადება მანამ, მიუხედავად
წესდებულ ბოტან.

სტამბოლი, ხანოქას მამოყვან-
დეს უღწემა; რომ თუ უნიციაზა-
დუღენიოთ ამ შოკლე ხანში არ გა-
დაეცემა ჩერნოგორიასა ჭლოტი-
დემონსტრაცია აუცილებელი იქნება.
მონასტრის გუბერნატორად მუხთან-
დაშის მაგიერ დაინიშნა ახმედ-ეფენი

ნიშნი-მოკვმოლოდი. კაცანის ნახან-
რი ნათ-ქმენდომ თაგის-უფლებას შიდად

ფელობონი

ქართველის ხმა

ბეიდა მკათათვე, ჩემო ძმაო ქრ-
 თველო და შენც გაგიათეებია მკა!..
 ლმერთმან ხელი მოგიმართოს ყო-
 ველს საქმის დასაწყისსა და გაათე-
 ბაში. მხოლოდ შეგიძლიან თანისუფლო
 ამოსუნთცა, რომ ამ სუნთქვას და
 ოხვრას ამოაყოლო წინანდელი და
 გუბებულის გულის დარღები და ვა-
 რამი. შენი სახის მეტყველება ა-
 ორისა და სამის თვის წინედ საში-
 შარს სურათს წარმოუდგენდა შენ
 მწახველსა. უმედიობა და უზედურებ-
 ცხადათ ემჩნეოდა შენს მძლავრ
 სხეულს; მაგრამ მაინც არ გადრკ-
 შენზედ მოსულს კალიას ბრძოლაში
 ქვესის თვის დაუღალავემ მასთან
 ბრძოლამ და მისმა საზარელმა სიმრავ-
 ლემ ვერ გასტეხა შენი სალი გუ-
 გული და მყარი მხნეობა, და, ამი-
 ტომაც ბრძოლა შენს სასარგებლო-
 გაათედა; გაათედა და ამოგეცალა გუ-

და ტაშკენტში მიდის, გუშინ აქ მი-
გოდა და დღეს სტამბოლში მიდის.

სტამბოლი, 14 აგვისტოს. სარწმუნოდ ამტკიცებენ, რომ საბერძნეთის საქმის შესახებ ნაცას ოსმალეთს დღეს გადგასცემნო.

ბოლშევიკი, 14 აგვისტოს. სტუდენტს
უბრძანეს ჯეჯალებადში შეჩერდით.
რადგან ქიშკილი საშინო მდგომარეო-
ბაში იმყოფება. ახდურაზმანის მისი
მსგავრობა უცლებს. იაკუბის მომხრე-
ებმა. *) ვიუბს გამოუცხადეს თანა-
გრძნობა.

ზამან. გენათის სანის ჯაგები აჯან-
ყდენ. ინგლისეს მხედრობის ერთი წი-
ლი განუს მისაშველებლად წავიდა.

ბეჰლინი. ფინანსის სამინისტროს
განმგებზე დროებით ბისმარკს მიენ-
და. გოჭიშანი სამსახურშიდამ კახთავი-
სუფილეს.

სტამბოლი. გაცუელდა დღეს წა-
რუდგინა ზოტას სახელმწიფოთა ზე-
სუსი ოსმალეთის ნოტაზე, რომელი
საერმნეთის საქმის შესახებ იყო და-
წერილი.

*) აქ გადმოშვებულია თვით დედანში.

ჭურღოლა და მისი მოსასვოზი
პაღლიატივი

ტფილისი, 14 აგვისტოს.

დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში
კორრესპოდენცია გახშირებულ ქუროს

ლიდამ ის ტანჯვის ლოდო, რომც
ლიც სუნთქვას გიხუთავდა.

მსლა ხომ ნახე ძმაო და დარწმუნ
დი, რომ შენმა მხნეობამ არ გიმტყუ
ნა და შენი მიწის მოსავალი კალი
გადაარჩინა. მაშ იმედია საკვლავ
ალარ შეუშინდები მას და შენის შრო
მათ და ჯაფით მოიშორებ. შენ შე
ნის ძალით ვერ უბედავდი კალი
შებმას და მხოლოდ ღმერთზედ აპ
რებდი მინდობას, რადგან ღვთის გნი
მოსეული მტერი გეგონა და მასთა
ბრძოლისთვის ღვთისა გეშინოდ
მაგრამ, ესლა ეგონებ დარწმუნებ
ლი ხარ რომ ამით შენ სცდ
ბოდი.

საე რომ არ მოქცეულიყავი ღმრ
თი არაოდეს ამ გვარს შენს თავზე
უზრუნველობას დაუდებად დარჩომ
არ მოგიწონებდა და იცოდე უფრ
უმეტესს სასჯელს მოგივლინდა, თ
რომ გაჭირების დროს შენვე არ მო
გველო შენის თავისთვის. ამ გვარა
არც ერთს გაჭირვების დროს, ა
უფიქრნიათ შენს სახელოვანს მამ
პაპს, თუმც გაჭირვების მეტი არ

დობაზე სამეგრელოში. დღეის
სწორს დავბეჭდეთ ამ ნაირივე კარ-
რესპოდენცია სამუხრამელოდამ.

ქუროლბენ სამეგრელოში, სამურ-
ზაყანოში, აბხაზეთში, ზურიაში, იმე-
რეთში... მაგრამ ყველაზედ უფრო
შეწუხებულია ხალხი ქუროდებისაგან
აბხაზეთში და სამეგრელოში. ეს ორი
მხარე არის ქუროდების კლასიკური
მხარე. სხვაგან — იმერეთში, ზურიაში
აბხაზეთში — კაცი იპარავს გაჭირვების
დროს, როცა ან ეალი აქვს გადასახა-
დი, ან საქმელი დააკლდება, ან უნდა
იყიდოს რამე და ფული არა აქვს; აბხა-
ზეთში და სამეგრელოში კი ქუროდ-
ბა ხელობათ არის გადაქცეული. სჭი-
რია თუ არ სჭირია, მეგრელო ქუროდ-
ბა მოთხოვნილება ამა და ამდენ-
ჯერ მოაჯდეს ცხენს, წლის განმავ-
ლობაში, და ამა და ამდენი მოპარუ-
ლი ცხენი თუ ხარ-კამეჩი წაასხას
უფრო უმეტესად, აბხაზეთში —
მოადათ არის — თუ არა და იმერეთში
და ზურიაში...

მერე დამალავს თუ? ძვირადღეს
როდესაც ის მოდის ეკკლესიაში, თუ
სამამსახურისოს, საცა ხალხი შეკრე
ბილია, ის უსირცხვილოდ მუსაიდობ
ხალხში „ეხლა კი არა, ბავშვი რო
ვიყავ ერთი სამ—ოცი ცხენი მომიბა
რავსო; ეხლა ან კი რა ჩემი საქმე
მოგხუცდი კაციო“—და სწორეთ, იმა
ვე ღამეს, დაღუპავს ერთს იმის მაყუ
რებელ საწყალ სოფლის კაცს, რო
მელსაც გამოგლეჯს ხელიდან წყვილ

უნახავს-რად მრავალ გზის უღვრია
გუბე სისხლისა. ისინი ახსენებდნენ
ლეთის საჩელს და შეეხმოდნენ ყო
ველ გვარს თავის მტერს რომ
გვარის უბადლო მხნეობით დაეცვა
სამშობლოს თავისუფლება. მაშინ
ღმერთი შევლოდა მათ თვისის უხ
ლავის ძალითა და განგებით, რადგ
ნაც მათი ღვაწლი იყო უზაკველი
მიზანი უწმიდესი და ამიტომც იხსნი
ხოლომე მათ გაჭირვებიდან...

წერეთს ზომ სცანი, ძმაო, რო
დმერთმა კალიის ზოცვა არ გიწყინ
და კიდევაც თავის უხილავი ძალი
მოგვხმარა მაგ საქმეში, და სხ
ბრძოლაშიაც არე მოგიმართავს ხელ
თუ....

მადლობა ღმერთსა, ბოლო
სთქევი, როგორც იყო გადაენარჩუნ
წყუთლს კალიას ჩემი წლის მოსავ
ლიო, და, ამ გვარად დამედებულ
ჯერ შეუდგვი ნამგლის ღესას რო
მოწყული პურის მოსავალი მოგემკ
ახლა გაგითავებია მკა და შესდგ
მიხარ ღეწას, რომ ამით ასაზღოც
შენი ცოლ-შვილი. მხლა შენ ნა

კამეჩს, რომლის ზრუგზედ დაფუძნებულია მთელი ამ კაცის ოჯახი...

სამეგრელოში გამიგონია: ერთმა
ქურდმა, რომ ვერა იშოვა რა მოსა-
პარავი, დაბრუნდა, ღამე შინ და-
სახლს გვერდით გაშენებული ხელის
წისქვილიდან მოიპარა, თავისეც ოჯახ-
ში, პატარა წისქვილის ქვები, მერმე
მთელი ღამე ატარა და დილას, როცა
ვერა მოუხერხა რა, ისიც შინ მოი-
ტანაო...

როდესაც ქურდობის სიყვარული
მიაწევს ამ ზომამდის, მაშინ არა ვი-
თარის გზით არ შეიძლება ძირითად
ადმოფხრას კაცმა ცოდვა, როგორც
თავში ამღვრეული წყალის დასაწმენ-
დლათ საჭიროა, რომ თავშივე დაწ-
მედილი—იქნას წყალი ისე აქაც
ქურდობის მოსპობა შეუძლებელი
მართო იმით, რომ ძოკია, მერაბი
სესირყვა დათოკონ და ციმბირში გაგ-
ზავენონ, სოფლის სამზღვრებზე ყარაუ-
ლები დააყენონ და სხვ. უქრდის მა-
გიერ ამ მხარეში, როგორც გიდრი
კარებზე დაიბადება ორი უფრო და
ხელოვნებული ქურდი, რომელიც
თავის მოწინავეზე მარჯვედ აიცდენ
მართალი საჯულების კლანჭებს. მრ-
გზას შეუკრავს ბოროტ-მოქმედებას
ის მეორე და შესამე გზას გაკავად
და სანამ ადმინისტრაცია და ხალხი
მიუხედებოდეს, ის კიდევ სხვა ახალ
გზებს გაიჩენს, მაგ. რო შეიტყვეს, რომ
მცირე წლოვანებს კანონი თითქმის
უსასჯელოთ სტოვებსო ბოროტ-მო-

დეილად ღირსი ხარ მაგ ლუკმის.
მე ლუკმა წმიდაა როგორც წმიდ
სიფის-კერი და მარტო შენ ხარ მ
გის ღირსი! შენ დღე და ღამე გას
წორე, რომ ეგ ლუკმა არ დაგენებ
ბინა კალიისთვის და არ დასდიე ცოლ
შვილის დროებით შემშილს რომ ს
მუდამოდ არ მოგეშოთ იგინი!

მხლა დრო გაქვს გაიხსნა ნალღ
ლიანი შუბლი, ჩემო ძმაო, და მხი
რულებით დაიბინავო შენი მოსაყ
ლი, მაგრამ აქ უნებურათ მაგონდ
ბიან ერთ გვარი კალიები რომელთა
არა ერთხელ გამოუცლიათ, შენთ
ხელიდამ ეგ ღეთისაგან მოცემულ
ლუკმს. მართალია წელს შენ მო
შორე თავიდამ კალია, გარნა საუბ
დუროდ შენ შორის კიდევ ცხოვ
ბენ ისეთი კალიანი, რომელნიც თ
ვიანთ თავს მოიჯარადრეს (ფადრ
ჩიკს) უძახიან და რომლების მოგ
რება თუ არ სხვა გვარად ცოცხებ
და ნიჩბებით შეუძლებელია. მაგრ
ძნელი წარმოსადგენია, თუ რამდენ
საშინელი მანებებელი დამღუპველი
არიან შენი ეს კალია-მოიჯარადრენ



მედებისთვის, ქურდები თითონ კი არ შედიან თავლაში ცხენის და სხვა საქონლის გამოსაყვანად. ისინი იკგზავნიან 10—12 წლის ყმაწვილებს. თუ დაიჭირეს არაფერი კანონი იმათ რას უზამს, თუ არა და ისინი ხედებიან დანიშნულ ადგილზე და აქრობენ საქონელს უკვალოდ სადმე ბზიფში, ან აბჟუაში.

იმ ზომამ, რომელიც მიუღია ბევრს სამეგრელოს სოფლებს და, სხვათა შორის, სამურზაყანოს, შეიძლება, დროებით ცოტა შეაყენოს ქურდობა; ისეც შეიძლება, რომ ქურდებმა, რომელთაც იცნან, რომ უკანასკნელი მათი გზა არის სიმბირი; გაჯავრებულ გულზე, სულ აიკლონ თავიანთი ქურდობის რაიონი (იმათაც აქეთ რაიონი)... მაგრამ შეჩერდება, თუ არა, ქურდობა დროებით ეს მართა ჩენი დღევანდელი დღის ინტერესი არის. ქურდობის მასშობა კი შეუძლებელია ამ ზომებით.

მოსასობელი წამალი მართა ერთი არის. ეს წამალი ძლიერა სჭრის; იმით მორჩენილან ბერმანიაში, შრანციაში, შვეიცარიაში, სადაც ყოფილა წინათ ეს ავათ-მყოფობა. იმით, და მხოლოდ იმით, უნდა მოვრჩეთ ჩვენც ამ სენიდან.

ეს წამალი გახლამთ, არ ვიტყვით არც შრომას, არც განათლებას, არც ზნეობის გავრცელებას, არ მინდა გავიმეორებ ბანალური სიტყვები. ქურდების მოსასობლათ ჩვენ ქურდები კი არ უნდა ვიყოლიოთ სახეში, ისენი როგორც გინდა იყვნენ, თუნდ სიმბირში გაგზავნეთ ისენი და, თუნდ მაღალი კოშკები აუშენეთ და ბატონურათ აცხოვრეთ. მაგათ უაწორს ზურგს მხოლოდ სამარე გაასწორებს. ჩვენ უნდა გამოვგლიჯოთ იმათ ხელიდან იმათი შეილები, რომ იმათ მაინც სხვა ხელობა ვასწავლოთ. ჩვენ უნდა დავაჯეროთ ხალხი, რომ ის,

რაც ისარგება ხევის-თაგებზე, ყარაულებზე და სხვებზე დახარჯონ სოფლის ყმაწვილების ხელობის სწავლებას, რადგანაც მხოლოდ სწავლებას — სკოლას შეუძლია ქურდობის მოსპობა... ძნელია, თითქმის შეუძლებელია, რომ ქურდი მამის შვილი ქურდი არ გამოვიდეს. სკოლამ უნდა ჩამოაჭრას შვილი ავაზაკს, რომ მოელოს ბოლო თვით ავაზაკობას

ახალი ამბები

ღაბა ხონიდან დიდს სამღურავს გვწერენ ადგილობრივს მომრიგებელს მსაჯულს: ერთობ თვით მნებელობსო, ვისიც საქმე უნდა გაარჩეოსო და ვისიც არა მიზეზს უშოვნის და ნაკუწ-ნაკუწად დაუხეცოსო და სხე...

ქორრესპოდენტის სიტყვით, ხონშივე სცხოვრობს ერთი აზნაური ბ. დ. ლ. რომელსაც არსად მიუღია არათუ განათლება წერა-კითხვაც კი არ იცის, და თუმც უფლება არა აქვს სამის საქმი მეტი დაიცვას მაგრამ, რადგანაც შემოხსენებული მომრიგებელი მსაჯული მწე-პატრონად ჰყავს, ას-ასობით იღებს საქმეს სასამართლოში დასაცველად და მოიგებს თუ არა იმის დარდი არ აწუხებსო.

საზოგადოება თურმე ჰფიქრობს უთუოდ ეს საბაზრო ადვოკატი მსაჯულის უნდა უნაწილებდეს თავის მოგებასო.

სიღნაღიდან გვატყობინებენ, რომ თუმც შეძლება მოგვეპოვება და სურვილიც გვაქვს „დებოს“ გახსნისო, მაგრამ მის დაფუძნებას მაინც ვერ ვეღირსეთ, რადგანაც დღემდის „დებულების“ დამტკიცებას ვერ მოვესწარიითო.

მსენი ეხლა ძალიან ფაცა-ფუცობენ და ემზადებიან შენზედ დაცემისთვის, დიდ-ძალი ტილოს ტომრები გაისტუმრეს მახრებში, რა კი გაიგეს, რომ წელს უხე-დ არის პურის მოსავალიო. მე ჩემის თვალთ ენახე, რომ შორის მახრაში რამდენიმე ურები წავიდა ამ ტომრებით და იმოღენა იყო რომ გგონებ მთელს შორის მახრას ას წელიწადსაც არ მოუვიდეს იმთონი პურის მოსავალი რომ ეს ტომრები აავსოს და თუ აავსებს, მაშინ სრულიად მაზრა ულუკმა-პუროდ უნდა დარჩეს. ეს კალია-მოიჯარადრენი უეჭველია მთელს ძავეასიის აქეთა მხარეში, შავის ზღვიდან მოკიდებული, ვიდრე პასაიის ზღვამდე, მოჰყვნენ თავიანთ მატყუარა ვეკილებს, რომ წელს რაც ამ მხარეში მიწის მოსავალი მოვიდა სრულიად თვითონ მოიხვეჭონ ხელში და მაშინ რასაკვირველია, ამ კომპანიას ადვილათ შეეძლებათ რომ შენ, ჩემო ძმაო, ან მშვიერი მოგვლან და ან შენის ქონით შენვე დაგვწან თვალები.

თუ ასე არ გგონია, ჩემო საყვარელო ძმაო, აბა იკითხე ეხლა რომ თბილისის სიონის სობოროსთან ქარვასლა შენდება ვისი სახელი რქმევია ამას, წინედ, და ეხლა ვინ პატრონობდა და ან ვინ აშენებს? ხომ გაგიგონია, ეს ქარვასლა ბატონიშვილებისა ყოფილა და ვიდრე დაიწყოდა თითქმის ყველა ბატონიშვილის ქარვასლად უწოდებდა, მაშ აბა ზოგი ახლა ნახე ვის სახელზე შენდება! ეს კიდევ არაფერი ვის სახელზედაც უნდა აშენდეს, მხოლოდ აქ ეს არის გულის საკლავი, რომ ამ ქარვასლის საძირკველს სიხარბით თხრის გამო სიონის სამრეკლოს ორი მხარე საძირკველის ლამის გამოეცალოს და ლამის ეს სამრეკლო თავის უზარ-

მრთი საპატიო ხელთუბნელი პირი გეტხოვს შემდეგი შენიშვნა დაუბეჭდოთ:

წირეანდელს მე 4 №-ში გაზეთის „ძავეასის“ ვილაუ პატიოსანმა პირმა გამოაცხადა, რომ ვითომც შორის მახრის სოფლის ხელთუბნის საზოგადოებას, ცხრა თუ რვა წლის წინათ ჰქონია შავის დღიათვის შეგროვილი ორას ათი კალი პური ხორბლათ და სამოც თუმნამდის ფულათ. იმ დროს, ესე იგი, ამ წლის იანვარში არც ხორბალი და არც ფული არ მოიძიებოდა აღნიშნულს სოფელში, და არც არავინ იცოდა სად დაიღუპა იმოღენა პური და ფული; აბა იფიქრეთ, ამ „მიმშილობის წელიწადში, რა შემწეობა იქნებოდა განა მართა ხელთუბანში მცხოვრებთათვის? ბარეშე სოფლის ხალხიც, ახალ პურამდის, ხელს გაიმართამდა! ამ ხმაურობაზედ განა არავინ იყო ვალდებული, რომ გამოეძია რაოდენათ იყო მართალი აღნიშნული განცხადება? მარამ ყურია არავინ შეიბერტყა; თუ ითავებს ვინმე ეხლაც არ არის დაკარგული დრო, და კარგი მოსავალიც მოსცა ღმერთმან იმ სოფელს, მარამ ცოტა გვეყვს ამ გვარ საქმისათვის მზრუნველნი“.

„დროების“ № 170-ს „ახალ ამბებში“ დაბეჭდილი იყო შოთიდან მიღებული ცნობა, რომლის ავტორი ილარიონ ჭიგინაძე (და არა ილ. ჭიგინაძე, როგორც შეცდომით იყო დაბეჭდილი) გვწერ, რომ მისგან მოხსენებული პრისტავის სახელი არის ი. (ივანე) და არა ლ.

ჩვენ მივიღეთ „ძავეასიის სამასწავლებლო ოლქის სარკულიარის“ № 6, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი ჩვენთვის საინტერესო ცნობას ვკითხულობთ: ძავეასიის აქეთა მხრის სემინარიასთან არსებულს თათრულ გან-

ყოფილებისათვის შედგენილის დებულების პროექტი და შტატის სახმარებლად შემოღება დ. მ. ნამესტნიკს მიენდოს და სახელმწიფო რჩევამ გადასწყვიტაო ქ. ქ. ბათუმში და შარსში სამ-კლასიანი სკოლები დაიმართოსო. მითო სკოლის შესანახად 3,620 მან. იქნება გადადებული, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებელთ გადასახდით უნდა დაიფაროს.

„დროშის“ კორექსიონდენცი

სიღნაღი 12 აგვისტოს. ამ ბოლოს დროს, როგორც „დროშაშიაც“ უკვე მოხსენებული, იყო ჩენი მახრის ელირსა საპატიო და შრომის მოყვარე მახრის უფროს თ. ლევან ჯანდიერს, რამდისაგანც ჩვენ ბედკრული მახრელები, ბევრს კარგს საქმეს მოველით. ამის გამო მე, ჯერ-ჯერობით, შემდეგზე მივაქცევ მისს ყურადღებას.

ძიზიუს მართალია მარჯვნივ და მარცხნივ ჩაუდის ორი მდინარე — იორი და ალაზანი, მაგრამ ამ წყლებით ადგილ-მდებარების გამო სარგებლობენ მომატებული წილი მხოლოდ მწყემსები და დანარჩენი მცხოვრებნი კი არიან წყაროების სინაზას და ამის გამო მეტადრე ზაფხულობით დიდს გაჭირებაში არიან. მრთელს ალაზნის მინდორს, თელავის მახრის მიჯნიდან მულანლოს ხიდამდის ალაზანზედ აქვს სამი სიგრძის გზა, — წყლის პირისა, მთის ძირისა და შუა გზა, რომელთაგანაც მკალეწვის დროს, თუ ქიზზედ სიარულის ქამს ხალიჩასა და ზარდობში, ძიზიყელნიც და ყველა სხვა მგზავრნიც და ეგრეთვე მთელის თუშეთის და შავ-ხევსურთ მწყემსობაც, დაიარებიან მხოლოდ ამ შუა გზაზედ, რომელსაც თითქმის ასის ეგრსტის მანძილზედ, მხოლოდ სამს ადგილსა

დაზოგავენ ფულის ოლონდ კი პირიდვან ლუკმა გამოგაცალონ და თავის საკუთრებად გახადონ, რომ მერე შენ მიხვიდე მასთან იმავე ლუკმისთვის და დანგის ფასად შენგან გაყიდული, მან ოქროს ფასად მოგყიდოს.

მიმეორებ, შენგნით ერთი გოდრის ბზის საშოვნელად უფრო აუარეული ჯაფაა ხმარებული, ვიდრე იმათგან მილიონების მოსაპოვებლად. ამ ოთხის წლის წინეთ აკი არ დაზოგეს ამ გვარად მუქათათ ნაშოვნის ფული კალია მოიჯარადრებმა და მთელი მართლ-მანეთი მორწყეს იმითი, ესე იგი, გადაცვალეს თვისი „ქმნილება



აქეს წყალი, — შარღაში, თავ-მუშათს და შარღულაყზედ. შარღაის წყალ-ზედ გაკეთებულია და გამართული ისევ ძველის ნეტარ ხსენებულის დამ-ბეგობის დროინდელი ნაგები მაზიყის ყველა სოფლებიდან მოკრებილის ფუ-ლებით, რომლიდანაც, თუმცა მომე-ტებული წილი, როგორც ამბობენ, იმ დროს სიღნაღის ადმინისტრატორთ ხელად და საქმეც უწარმოებიათო უფ-რო ბ. ბ. საფაროვებთ სასარგებლოდ, რომელთათვისაც შეუძენიათ ამ წყლის გვერდზედ ბლომათ სახანაგები და სა-თიბები; მაგრამ მაინცა და მაინც ამ წყლით საკმაოდ სარგებლობენ თვით მაზიყელნიც და ყველა ამ შუა გზა-ზედ მოსიარულე მგზავნიც, და ხსე-ნებული თავტუშბათის და შარღულა-ყის წყლები კი თითქმის უფრო უმე-ტეს სტანჯვენ მწყურვალე მგზავრს და მისს საქონელს პირუტყვს, ვიდრე არგებენ რასმე, რადგანაც აქა-იქ, რამდენიმე ათსა და ოცს ადგილს თა-ვის-თავად ამომჩქეფარე წყაროები მგზავრთ და პირუტყვთ ფეხით იმო-დენად არიან ჩატკილ-ჩანადგურე-ბულნი და ისრედ დაბნეულნი და ჩაშრობილნი ზოგან ტალახ-მოლუბე-ში და ზოგან კიდევ ქვა-ქვიშაში, რომ ვერც აღამიანი, და ვერც პი-რუტყვი ვერ მიუღებენ. იმათა გა-ჭირებაში მადლიანად პირის გასასვე-ლებლად, სადაც ფრიად სამწუხარო და გულის გასაგმირალი სურათებიც ბევრჯელ უნახავს თვის ამ სტრიქო-ნების დამწერსაც. ამ ფრიად საჭირო და დაუფასებლად სასარგებლო წყლების გაკეთება შეიძლება ძრიელად ადგილობრივისავე საშუა-ლებით, რომლისთვისაც, როგორც ჩვენ ნამდვილად შეტყობილი გვაქვს კერძო პირთაგან გამოკითხვით, არავინ მაზიყელთაგანი არ დაჰზოგავს საჭი-რო შემწეობასა ფულით თუ შრომით ოღონდ კი რიგიანი მოთავე და ხერ-

ხიანი მოსარისტე აღმოჩნდებოდა. მისს სასახელოდ დასასრულებლად, რაისაზედაც სხვათა შორის მივაქცევთ ბატ. ჩვენის მაზრის თ. ჯანდიერის ჯგროვანს ყურადღებასა.

დ. ს. ბ.

აზაზაპი — მთავარი მერულა

მერულა იყო ერთ გავლენიან პირთაგანი მსმალოს დროს იმერ-ხევში. იმას გავლენა ჰქონია როგორც მამაცს და ყაჩაღს. მსმალოს მთა-რობა სდევნიდა, მაგრამ ვერა გზით ვერ დაიმორჩილა. ის იყო კეთილ-შობილი ავაზაკი; ცხოვრობდა იქ, საცა იმისათვის ადვილი და მოსაწონი იყო — ხან ტყეში და ხან თავის მამის სახლში. იმის სახელის ხსენება ყველა აქაურებს — დიდ-მცირემდი ათრთო-ლებს. იმისი ავ-კაცობა, მამაცობა, ზოგჯერაც კაი-კაცობა ყველას ახსოვს. მორმეტის წლიდამ დაიწყო ყაჩაღობა და ავაზაკობა.

თავის მოუხვეწრობით, შეუზოგრო-ბით თავი მოაბეზრა მთავრობას; მს-მალოს მთავრობამ ბძანება გამოსცა, რომ მერულა ან დაეჭირათ, ან მოეკლათ. მერავინ ვერ გაბედა შეუ-ზოგარ, ავაზაკის წინააღმდეგობა.

ერთმა არდნუჯში მოსულმა გო-ნიერმა კაიმაქმა (მსმალოს დროს) იმის მაგიერად რომ დააჭერინოს, ან მოაკლევინოს, მოიხმო, თავი მოუ-ქონა და მისცა ყარხ-სარდლობა, ე. ი. მილიციონერების უფროსობა. მ-რულამ შეიწყნარა ეს წინადადება და ძრიელ კარგათაც ასრულებდა თა-ვის დანიშნულებას. იმ მილიციონე-რებს, რომლის მთავრათ მერულა იყო, ვალად ჰქონდათ ავაზაკთა დევ-ნა.

მეი გაიშალა. საჭირო იყო იმერ-ხევიდამ ჯარი გამოეყვანათ. მერავინ

ვერ მოახერხა. მერულა დანიშნეს ათასის-თავათ, ბიძაშათ; იმან გა-მოიყვანა იმდენი ჯარი, რამდენიც საჭირო იყო.

მერულამ იმში გამოიჩინა თავი, მტერს ებრძოდა მამაცურად და ერთ-გულათ. მისი დროს იყო ერთგული დამცველი ქრისტიანებისა. თავის ხელ-ქვეით ჯარებს გზავნიდა ქრისტიანთა საყდრების დასაცველათ.

მეი რომ ვათავდა, მერულამ არ იკადრა მისულიყო და „ჩინები“ ეთხოვა. ღებრუნდა თავის სახლში და მიჰყო ხელი ძველ ხელობას. ინახავდა ოც-და-ათს კაცს, რომლებსაც ძლიერ-და თითო თუმანს თვეში ჯამაგირს. ბათომის მაზრაში საცა ავ-კაცობა ხდებოდა, მერულას მონაწილობა ჰქონდა. თვითონ არ ავაზაკობდა. ის მარტო ბრძანებლობდა; მთელი მაზ-რის ავაზაკები იმას ემორჩილებო-დნენ.

ბი ნიმუში მერულას ცხოვრე-ბიდან:

მერულას ჰყოლია ძმა, რომელიც მოუკლავს ერთს ვილაქ თურან-ბეგს. მთავრობას დაუტერია მკვლეელი და მიუცია სამართალში. მაგრამ მერულ-ლა არ დაკმაყოფილებულა, სდომე-ბია „თავისი ხელით სისხლის ძიება“; უთხოვნიდა მთავრობისთვის ძმის მკვლე-ლის გაცემა. მთავრობა, რასაკვირვე-ლია, არ დათანხმებულა; მაგრამ მ-რულას მაინც თავისი გაუტანია: როცა მიჰყავდათ მკვლეელი მლთისის-კინ, მერულა დაჰხვედრია გზაზე. წაუტომეგია ჯარის კაცებისათვის თუ-რან-ბეგი და ასო-ასო დაუჩხვია. მ-რი ხელი წარუდგენია საჩქაროდ დედას-თან და დანარჩენი ნაწილები, ჯო-ხებზე აცმული დაურჭვია ძმის საფ-ლაზე. მით დამშვიდებულა.

აგერ ეს მკაცრი და უშიშარი კაცი დგას ჩემს წინ ფეხთ-ბორკილიანი და ხელ-შეკრული, როგორც ლომი მა-

ხეში. მერულა მალკეაძე, დიდი ხნის წინათ გადმოსახლებულია იმერ-ხევში მაჭახელიდამ. ის არის შვა ტა-ნისა, ჩასხმული და ჩახმახი ბიჭი, 32 წლისა. მაღალი, თეთრი შუბლი; შავ თვალ-წარბი, ხშირი, მაგრამ ნორჩი უღვაშები, ზომიერი ცხვირი და ნიკაბი; მეგრული ყაბალახი, გძე-ლი თმები, ამშვენებენ იმის სახეს. ტანთ აცვია ძიკვა ჩოხა, ვიწრო შალ-ვარი. შულზედ ოქროთ დაფერილი დოშლოლი. მოძრავო და ბრიალო თვალები, რაღაც ბძანებლობას ამ-ქლავებენ; აქეთ-იქით იხედება მარ-დათ, მალ-მალე ოხრობს.

რასაკვირველია, ამისთანა კაცის და-მორჩილება უსისხლოთ ძნელი იყო, იარაღით და ვაჟკაცურათ რომ მისულ-იყენენ იმაზე. ართვინის მაზრის უფ-როსმასიტყვით დაიმორჩილა. „ბეგლსა ხერცლით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“!..

ახლა მერულა მიჰყავთ ბათომში სამართალში მისაცემათ. იმის დაჭერის მიზეზი გახდა „მდიდარი“ ხანუმის გა-ცარცვა ს. ხევაში. იმ ხანუმის ნა-ქურდალ ნიეთებს გარდა ამის სახ-ლიდამ გამოიტანეს ბევრი თოფები — მარტინისა, სნიდერისა და მანჩეს-ტერისა.

ს. ბავრელი.

ზადანუჯი. 23 ივლისს.

ნარევი

დენერადი და ინდოური! რუსულს გაზეთებში მოყვანილია შემდეგი ფაქ-ტი, რომელიც ქ. ტამბოვში მომხდა-რა: ერთს მამაცს ღენერალს სეირნო-ბის დროს გულზე შეახტა გაანჩხლე-ბული ინდოური და უწყალოდ დაუწ-ყო ჰკორტნა. მამაცმა ღენერალმა ვე-რაფრით ვერ მოიშორა ამისთანა ახი-

მილიონები“ მიწის მოსავალზედ და რა გამოვიდა ბოლოს? ის გამოვიდა, რომ შარღულა-ძახეთის მიწის მშრომ-ლებმა თავიანთი მოსავალი ხელიდ-გან გაუშვეს და თვითონ მშვიდრი დას-ხლენ, მაშინ როდესაც ამ მოსავლით აღებული ფულით იძულებული იყ-ვნენ ცეცხლში დაეწვით, რომ საციმ-ბიროთ არ გამხდარიყვნენ!

ამის შემდეგ მოდი, ძმაო, და ნუ გაუფთხილდები ამ სულზედ ხელ აღე-ბულებსა და გადაყარე შენი მოსავა-ლი! არა თუ ამ ზემოხსენებულის შემთხვევის დროს, შენ მაშინაც დი-დი სიფთხილე გმართებს კალია მოიჯა-რადრებთან აღებ-მიციმაში. თუნდაც რომ ისინი სირმა-ვერცხლსა და ოქ-როს იძლეოდნენ შენს მიწის მოსავალ-ში. ბი რათა: შენ დაწმუნებული ხარ, რომ დედა-მიწა ერთ-გვარად არ გაძლევს ყოველ-წლივ მოსავალსა და შეიძლება, ერთ წელიწადს მოგივიდეს იმდენი, რომ ორისა და სამი წლის სამყოფი იყვეს, მაგრამ მეორესა და მესამე წელიწადს კი სრულად აღარა მოგივიდეს რა. ახლა, ამ პირველ მო-

სავლიან წელიწადს მოდის, როგორც შენთან, ისრე ყოველ მხენელ-მთეს-ველთან, ფულიანი კალია-მოიჯარად-რე, და ყიდულობს ყველასგან არა თუ მხოლოდ იმას რაც მაგ ერთის წლის საზღოზედ მეტი-გაქვს, არამედ რაც გეყოფა მეორესა და მესამე წე-ლიწადსაც; ბევრჯელ იმ საზღოდამაც გიჭრის, რომელიც უნდა გეყოს პირ-ველს წელიწადს და ისე გიხდის საქ-მეს, რომ შეიძლება შენ და ბევრს სხვასაც იმავე წელიწადს დაგაკლდეს პური. მაკლდებთ პირველ წელი-წადსვე პური, მაგრამ როგორც არის იოლად გამოდინართ ერთ-ერთმანეთ-ში. მეორე წლისთვის კი, გაწყრა ღმერთი და ისე ნაკლები მოგივიდა მოსავალი ან გვაღვისაგან ან თუ სეტყვისაგან და ან კალიისაგან, რომ თესლადაც არ გყოფნის; მაშინ მი-დიხართ ერთმანეთთან შენ და შენი მეზობლები და ხედავთ, რომ აღარც ერთს აღარა გაქვსთ ამ მეორე წლის სამყოფი საზღო და წინანდელი სამი წლის სამყოფი მოსავალი, როგორც შენი, ისეც შენის მეზობლის ვადასუ-

ლა კალია-მოიჯარადრეს ხელში. ბა-დინართ სხვა სოფელში, ლუკმის სა-შოენელად, მაგრამ რადგან იმათაც თქვენსავებრ გაუფლანგავთ მოსავალი იქაც ისევ ის უარარაობაა. ბადინარ მაზრის გარეთ და ისევ იმ შემთხვევის გამო ისევ უარარაობაა! მაშ სადლა წახ-ვალთ? თქვენ ხომ ისეთი მოთავე არა ვინა გყავთ, რომ თქვენ შორის მოკ-რიფოს ფული და გავიდეს სამწლეარ-გარეთ და იქ სადაც იაფად ფასობს პური, იქ გიყიდოსთ და მოგიტანოსთ? მაშ მშვიდრები უნდა დაიხოცნეთ... მაგრამ ჯერ კიდევ რათ დაიხოცებით მშვიდრები, როდესაც წინა წლის გა-ყდული პურის ფული შინა გაქვსთ და ისიც იცით რომ იმას, ვინც ის წინა წლის დიდი მოსავალი იხელთა, თავის უზარ-მაზარი სარდაფები და ხა-როები გატენილი აქვს პურითა. რა-საკვირველია, მონახავთ იმას და შენ შენს წილად, იმ ოცის თუმნით, რომელიც მისგან მიიღე ხუთას ფუთს (ქართლის ანგარიშით და საწყაოთი ასი კოდი) ხორბალს ეხლა ყიდულობ ოთხმოც ფუთსა (ოცი კოდი) ასე,

რომ მას რჩება კიდევ შენგან ოთხასი ფუთი (ოთხმოცი კოდი) ანუ ოთხ-მოცი თუმანი ფული, რომელიც მოა-გებინა შენთან ერთ წელიწადს დაბან-დებულმა ოცმა თუმანმა. მაგრამ ეგ ოთხმოცი ფუთი იქმნება მაგ წელს არც კი გეყოს და სხვა ფულების შოვნაც დაგჭირდეს პურისთვის, და თუ მესამე წელსაც მოუსავლობა გექ-მნა, მაშინ ხომ სულ უნდა დაიღუპო, როდესაც ის ასი კოდი რომ არ გა-გეყიდნა და შენთვის შეგენახა, სამს წელიწადს შენც გეყოფოდა და გასას-ყიდადაც დაგრჩებოდა...

ამით ვათავებ, ჩემო ძმაო, შენთან საუბარსა და გირჩევ გაუფთხილდე შენს მოსავალს, როგორც წლეულს ისე სხვა დროსაც; თორემ ეს კალია-მოიჯარადრენი, რომელთა სიმრუდე და მავნებლობა შეიძლების დაგვარად გაჩვენე, — უარესნი არიან ბევრით კა-ლიებზედ და შენს მუტყელს არ გააძ-ლობენ და არც გასაზღოვებენ თუ შენ თვითონვე შენი საზღო არ შეინახე და არ ისაზღოვე.

ა. მ.

რებულო მტერი და გაბა ყვირილი. ბოლოს, როგორც იქნა ვიღაც მადლიანი დიკვანი მიეშველა, რომელიმაც თავ-განწირულად იმე! ეტაკა ინდოურს და გაქაჩა (ფა, ფა, ფა! ღიკონს შემდეგ პოლიციაც წამოეშველა. შეუდგინეს პროტოკოლი ინდოურის პატრონს, რომელიც აგრეთვე ღენერალი ყოფილიყო, მაგრამ სამოქალაქო სამსახურისა. საქმემ მიაღწია მომრიგებელ მსაჯულისადმი, რომელმაც ბევრი იდავიდარაბა, მაგრამ ამ შემთხვევის შესაფერი მუხლი კანონებში ვერ მოიხსნა: იქ იყო მოხსენებული რომ თუ პატრონმა ყური არ უგლო პირუტყვს ამდენი-და-ამდენი ჯარიმა გადახდეს, თუ ფრინველმა სხვისი ბოსტანი და სხ. მოჰმოსო მაშინ პატრონმა ამდენი უნდა ზღოსო და სხ... მაგრამ ფრინველისგან კაცის და მერმე კიდევ ღენერლის შეურაცხყოფა და დაჰკორტნა არ იყო მოხსენებული. ბევრა თავის მტყრევის შემდეგ გამჟრიახმა მოსამართლემ შემდეგი განაჩენი დადო: „ენიდიგან სამოქალაქო სამსახურის ღენერლის ინდოურმა დაჰკორტნა სამხედრო ღენერალი, გადახდეს პირველს ჯარიმად ორი შაური.“

მუცელ-სვავა კაცი. ჩვენმა მკითხველებმა იციან ტანნერის ორმოცი დლის უჭმელობის ამბავი. ახლა იმავ ქალაქში ნიუ-იორკში სხვა რიგი ტანნერი გამოჩენილა, რომელიც ნიზლავს დებს, რომ ორმოცი დლის განმავლობაში მუდამ ვსვამ და ვცამო შეუწყვეტლად, დღე-ღამეში რვა საათის თავისუფლება მომეცით რომ ვიძინო. საქმელ-სამელი კი ჩემი ნებით უნდა იყოს ამორჩეულიო. ამერიკულ გაზეთების სიტყვით ნიზლავის მსურველები მრავალი გამოჩნდნა.

მასწავლებელი ბავშვი. რუსეთის ერთ სოფელში ამ წლის 15 ივლისს ერთმა დედა-კაცმა უდროვით შობა მკვდარი ბავშვი, რომელსაც ჰქონდა ოთხი ყური, ოთხი ხელი და ოთხი ფეხი. მიზეზი ბავშვის უდროვით შობისა ის არის, განაცხადა ამ დედა-კაცმა, რომ ამ თვის ორს მეორე სოფლის მამასახლისმა საყელოზედ და ხელეზზედ ხელი მომავლო და შემანძრიაო! ამ საქმის გამოკვლევა გადასულა გამოძიებლის ხელში!

განცხადებანი

სილნალის მაზრის მარშალი ამით მოიწვევს სილნალის მაზრის თავად აზნაურთა მოგზაურობას 31 აგვისტოს, კვირას, სოფ. ბაჰურ-სინხს, საპუთარ სახლში, თავად-აზნაურთა შვილების სწავლა-განათლების საშუალების აღმოსაჩენად. (10—1)

ავვისტოს 1880 17-სა კვირას ბულვარზე კნაზ მუხრანსკის სახლებში კლუბს ქვეშ რესტორანს „შვეიცარიასი“ იქნება ქართული საზანდარი შესვლის ფასი იქნება 20 კაპეიკი. (1—1)

კვირას, 17 აგვისტოს მ. გორში წარმოსდგება სცენის მომზადებაზე ოთხ-მოქმედებიანი ტრალდია

„ქოროლი“ თხზ. ზ. ანტონოვისა. (3—3)

მივიღეთ დიდ-ძალი ჩაი პირ-და-პირ პლანტატორებისაგან — ინგლისის მაღაზიაში.

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი. (10—4)

ინგლისის ქალაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ზოი — 1 შ. 10 კ. მოხვადის ზოი — 13.40კ.

| | |
|-------------------|-------------|
| — — — 1—20 | — — — 1—60 |
| — — — 1—40 | — — — 1—80 |
| — — — 1—60 | — — — 2— |
| — — — 1—80 | — — — 2—50 |
| საუკეთესო — 2 — „ | — — — 3 — „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაუტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები ქალღლი შოკოლადი, კაკაო, კანფები, მურამები, მაგნეზია, უნაფირები, კლეიონკა, წინდები — კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსავე მაღაზიაში. შინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის. (100—10)

შემთხვევითი ისტორია ადგილი

რომელზედაც ამ ქაშად ბალია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარებს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო პრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და

სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს. ფასისა და დაწერილობით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიპინსკის, მლი-სავეტის ქუჩაზე, სახლის № 132. (10—9)

სამშდგარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირდაპირ ნაგრობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამდებინა დაგეგმეთ ქ. ქუთაისში ვაჭრობა


ს ა კ უ თ რ ი ვ
სამზღვარ გარეთელ მოღის სა-ქონლისა
NOUVEAUTÉS PARISI-ÉNNES-ის
ფ ი რ მ ი თ

მაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედულობთ, რომ ის არ დაგეტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვეყოფს მოგემართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენი საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთელ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტებიანოთა და სხვ. ნაფეტების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის მიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შეიღებითურთ.



მოქალაქეებსა და მოსახლეობას ნიდა და ვეგლასაგან სმარებული წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით სშირათ ფეხის თითქის შუა.

გალმანი (Гальманин)

ისეიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაცუტის მაგისტრანის გ. კარბინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორ. ლის ქუჩაზე, № 35. დიდი კარბოგა გაღმანისა ვარშავაში 50 კაზ. ღირს, ვატარა — 30 კაზ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გაღმანისი არ შეიგატყუონ.

გ. კარბინსკი. (25—20)

ციტრატ - მარმეზია — წაუზრვილის მოსასპოგელად მოიპოთხეთ ინგლისის მაღაზიაში. (25—9)

მშრება გემრიელი წყურვილის ყველი, მაგნეზია შერბრეწილი, ლისათვის. ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისეიდება ინგლისის მაღაზიაში.

კარბოლის პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავთიყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად — ფასი 1 მან. — ინგლისი მაღაზიაში. (40—34)

შენიშნვა
რადგან მოქალაქეებში გამოჩენილი და მდებარე წამალი. თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი
ერთობ ბევრი ისეიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ხლა 2 მაკთან ღირს. (100—27)

„დროების“ ფოტო

მ—ს ნ. მულ-დაჭრილაძეს. სამწუხაროდ თქვენი ლექსი დასაბეჭდათ არ გამოდგება. მსურვებთ სამაგალითოთ განგველოსთ ის გზა, რომელზედაც აღვინართ და შემდეგ ღირსეული ღვაწლი გაგვწიოსთ სამშობლოისთვის.

ა. ბ—ს. სწორედ მართალი ხართ, როცა ამ სიტყვებს ამბობთ:

„მარმონია, კეთილ-ხმანი, ლექსად მღერა სალიზლარი ვერ ეთვისონ მაინც ჩემს გულს მღუმარედა გაქვავებულს,“

და მიტომაც თქვენს „ეპილოგს“ ვერ იხილავთ „დროებაში“ აღტყფრულსა (?)“

შორანას მაზრაში ღაბა წ—ს. ბ. ბ. ს. თუ მართლა ვერ გაიგეთ რას ნიშნავს „ჯერ ისწავლეთ მერე სწერეთ“ პირველ გამგელს ჰკითხეთ და აგიხსნისთ. ბევრნაია, როცა ის „გასათხოვარი გოგო“ ამბობდა თქვენს შემდეგ ლექსს

„ანუ მიკრავ, დედილო, წითელ კაბასო არ წაყვები, დედილო, ურა ეფე კაცსაო,“

მაშინ თქვენზედ, ანუ უკეთ ესთქეთ, თქვენს „ურა-პოეტობაზედ“ ჰფიქრობდა!

თ—ს. მ. წ—ს. მართალი ხართ, მაგრამ მაინც არ დაიბეჭდება, რადგან, როგორც თვითონ ამბობთ, „ახალი არაფერია და ბევრჯელაც იყო გამოთქმული ჩვენს ქურონალ-გაზეთებში.“ მარდა ამისა თქვენს წერილს ოსტატურად შემუშავებაც აკლია. მთხოვთ ნუ დაგვემღერები, არ დაგვივიწყოთ.